

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-08/37

03 აგვისტო 2015 წ.

ქ. ბათუმი

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების გამოცხადებასა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 24 ივლისის N01-08/32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის დადგენილების, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის რ. ბერიძის 2015 წლის 27 ივლისის N03436, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის შ. ჯიჯიეშვილის 2015 წლის 28 ივლისის N03443, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2015 წლის 13 ივლისის N03002 მოხსენებით ბარათთა საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების გამოცხადებასა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 24 ივლისის N01-08/32 ბრძანებაში შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება, კერძოდ:

1.1. „2015-2016 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს ფაკულტეტებზე სამაგისტრო გამოცდების მისაღებ სტუდენტთა რაოდენობისა და სწავლის საფასურისა და შესაბამისი კოეფიციენტების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 თებერვლის N016 დადგენილებით განსაზღვრულ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამებს დაემატოს **დანართი 1-ის** შესაბამისად ახალი სამაგისტრო პროგრამები.

1.2. ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 24 ივლისის N01-08/32 ბრძანებით დამტკიცებულ კომისიებს (დანართი 3-ი), სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, **დაემატოს დანართი 2-ის** შესაბამისად კომისიათა შემადგენლობა.

1.3. ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 24 ივლისის №01-08/32 ბრძანებით დამტკიცებულ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების პროცედურასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნილ სამაგისტრო გამოცდების საპრეტენზიო საბჭოს (დანართი -5-ი) დაემატოს ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ვახტანგ მიქაშავიძე.

2. დაევალოს კანცელარიას ბრძანება განათავსოს კანცელარიისთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ. №30.)

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016
სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების გამოცხადებასა
და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 24 ივლისის №01-08/32 ბრძანებაში ცვლილების
შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის-----№-----ბრძანების

დანართი 1

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების გამოცხადებასა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 24 ივლისის №01-08/32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მ/შ 2015 წლის 03 აგვისტოს №01-08/37 ბრძანების

დანართი 2

საგამოცდო კომისიების შემადგენლობა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

საგანმანათლებლო პროგრამა „სოციოლოგია“		
1	ასოცირებული პროფესორი ვარდო ბერიძე	თავმჯდომარე
2	ასოცირებული პროფესორი ლალი ანთიძე	წევრი
3	ასოცირებული პროფესორი გიორგი მასალკინი	წევრი
4	პროფესორი მიხეილ მახარაძე	წევრი
5	დოქტორი ნუგზარ ჩხაიძე	წევრი
საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოსოფია“		
1	ასოცირებული პროფესორი ვარდო ბერიძე	თავმჯდომარე
2	ასოცირებული პროფესორი ლალი ანთიძე	წევრი
3	ასოცირებული პროფესორი გიორგი მასალკინი	წევრი
4	პროფესორი მიხეილ მახარაძე	წევრი
5	დოქტორი ნუგზარ ჩხაიძე	წევრი
საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“		
1	პროფესორი როსტომ ბერიძე	თავმჯდომარე
2	ასოცირებული პროფესორი ანზორ დევაძე	წევრი
3	ასოცირებული პროფესორი ეკა ბახტაძე	წევრი
4	ასისტენტ პროფესორი მერაბ დიასამიძე	წევრი
საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია“		
1	ასოცირებული პროფესორი ნანი გვარიშვილი	თავმჯდომარე
2	ასოცირებული პროფესორი ნინო ლომთათიძე	წევრი
3	ასისტენტ პროფესორი გუგული დუმბაძე	წევრი